საქართველო

სანოტარო აქტი

ორიათასცხრამეტი წლის ოცდათხ მაისს, მე, ნოტარიუსს **ლია კობახიძეს,** სანოტარო ბიუროში მდებარე მისამართზე ქ. თბილისი, შარტავას (ყოფილი ანაგის) ქუჩა №44-ში მომმართა მოქალაქე **ია გრიგოლიამ,** რომელმაც განაცხადა, რომ არის **შპს „გზა 2020"-ის (საიდენტიფიკაციო კოდი - 200230865) დირექტორი და** თავისი უფლებამოსილების დასადასტურებლად წარმოადგინა **ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან. საიდენტიფიკაციო კოდი - 200230865, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B18077862, ამონაწერის მომზადების თარიღი – 23/07/2018.** მან, როგორც **შპს "გზა 2020"-ის დირექტორმა** გამოხატა მოქალაქე **რამაზ ხვედელიძის** მიმართ მინდობილობის შედგენისა და მისი სანოტარო წესით დადასტურების ნება. მე შევამოწმე მისი პირადობა, წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ, მე ნამდვილად **ია გრიგოლიამ** (დაბ. 25.07.1980 წელს, სენაკში, პ/მ №11IB56887 პ/ნ №01001010639, გაცემული იუსტიციის სამინისტროს მიერ 07.02.2012 წელს), როგორც **შპს „გზა 2020"-ის დირექტორმა მომმართა.** მე დავადგინე მისი უფლებამოსილება, ნების გამოხატვის ნამდვილობა, შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. შემდეგ შევადგინე მინდობილობის პროექტი, რომელიცწაიკითხა და მოიწონა მარწმუნებელმა და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას:

მინდობილობა

მე, **ია გრიგოლიამ** (დაბ. 25.07.1980 წელს, სენაკში, პ/მ №11IB56887 პ/ნ №01001010639, გაცემული იუსტიციის სამინისტროს მიერ 07.02.2012 წელს), როგორც შპს **„გზა 2020"-ის (საიდენტიფიკაციო კოდი – 200230865) დირექტორმა, რამაზ ხვედელიძეს** (დაბ. 13.07.1970 წელს ჭიათურაში, პ/მ. №18IA54223, პირ. №62006053243, გაცემული იუსტიციის სამინისტროს მიერ 11.07.2018წ.), მივანიჭე შემდეგი უფლებამოსილება, კერძოდ:

1. **რამაზ ხვედელიძე** უფლებამოსილია, **შპს "გზა 2020"-ის დირექტორის ია გრიგოლიას** სახელით აწარმოოს ნებისმიერი საქმე და ნებისმიერი დოკუმენტაცია **შპს "გზა 2020"-ის კუთვნილ უძრავ ქონებასთან** დაკავშირებით, კერძოდ, შეადგინოს და წარადგინოს პროექტი, დაამტკიცოს, მოახდინოს პროექტის კორექტირება და ა.შ. ამის შესაბამისად, **რამაზ ხვედელიძე** უფლებამოსილია, იყოს **ია გრიგოლიას,** როგორც **შპს "გზა 2020"-ის დირექტორის** წარმომადგენელი **მერიაში და სსიპ არქიტექტურის სამსახურში, რათა მოიპოვოს, ჩააბაროს, გააუქმოს, შეცვალოს ან ჩაასწოროს დოკუმენტები, შეიტანოს ცვლილებები ნებისმიერ დოკუმენტაციაში, გამოითხოვოს და მიიღოს ყველა სახის დოკუმენტაცია და ინფორმაცია, მოაწეროს ხელი შპს "გზა 2020"-ის დირექტორის** სახელით ყველა საჭირო დოკუმენტებს და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც საჭირო იქნება ამ დავალების შესასრულებლად.
2. მინდობილობა გაცემულია **1 (ერთი) წლის ვადით,** გადანდობის უფლების გარეშე.
3. მინდობილობა შედგენილია **3 (სამი)** ეგზემპლარად, საიდანაც ერთი რჩება ნოტარიუსთან, ხოლო დანარჩენი გადაეცემა მინდობილობის გამცემს.
4. **მინდობილობის იმ ეგზემპლარს, რომელიც რჩება სანოტარო ბიუროში, თან ერთვის:**

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან. საიდენტიფიკაციო კოდი - 200230865, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B18077862, ამონაწერის მომზადების თარიღი – 23/07/2018.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური 10.00 ლარი, თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ" ინსტრუქციის 52 მუხლის მე-5 პუნქტისა, აგრეთვე 2 ლარი (დღგ ჩათვლით), თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების -"სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესის და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" 39-ე მუხლის I პუნქტისა. სულ გადახდილია 12.00 ლარი.


ხელმოწერა

საქართველო GEORGIA ГРУЗИЯ. NOTARIUS ნოტარიუსი ლია კობახიძე

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

83248787329919

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N190586637

რეგისტრაციის თარიღი

24.05.2019 წ

ნოტარიუსი: ლია კობახიძე
მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას (ყოფ.ანაგის) ქ. N44.
ტელეფონი: 96-03-05

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18